თამარ ჩუბინიძე -- გერმანული ენის მასწავლებელი.

1.პროექტის დასახელება: „ბავშვები, რომლებმაც მსოფლიო შეცვალეს“

2. პროექტში მონაწილეობენ მე-8 კლასის მოსწავლეები. კლასში 9 მოსწავლეა. არ ირიცხება არაქართულენოვანი და სსსმ მოსწავლე. ცოდნის დონის მიხედვით არის განსხვავებები, რაც გათვალისწინებული იქნება ჯგუფების დაკომპლექტების დროს და თითოეულს დავალება მიეცემა ინდივიდულური შესაძლებლობის მიხედვით. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოსწავლეებს აქვთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება.

3. პროექტის აქტუალობა./რატომ არის ეს პროექტი მნიშვნელოვანი ჩვენთვის?

უცხოური ენის სახელმძღვანელოებში მწირი ინფორმაციაა მსგავს თემატიკაზე. მოსწავლეები არ ინტერესდებიან ზოგადი ინფორმაციით. მარტო სასწავლო პროგრამა კი არ იძლევა გლობალურ მოქალაქეობაზე ცნობიერების გაფართოების საშუალებას. პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეები გაეცნობიან და შეისწავლიან უცხო ენაზე მათი თანატოლების ისტორიას, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს უსაფრთხო, სამართლიანი და დაცული ქვეყნის მშენებლობაში. კარგად გააცნობიერებენ, რომ რაღაც მნიშვნელოვანის შესაქმნელად არ არის აუცილებელი ზრდასრულობა და ყველაზე მთავარი იგრძნობენ რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია. პროექტის დასასრულს მოაწყობენ ღონისძიებას და სასკოლო საზოგადოებას წარუდგენენ მომზადებულ პრეზენტაციებს. განუვითარდებათ შემოქმედებითი უნარები, ზეპირი მეტყველების არავერბალური კომუნიკაციის უნარი, კვლევა-ძიების და ა.შ

4. პროექტის მიზანი: მოსწავლეები განსაზღვრავენ კვლევის საგანსა და კვლევის მიმდინარეობის ეტაპებს, შეაგროვებენ ინფორმაციას ცნობილ თანატოლებზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი რამ გააკეთეს , მოაწყობენ ჯგუფურ განხილვას, სადაც დაამუშავებენ მოძიებულ ინფორმაციას, მოამზადებენ პრეზენტაციას, წარმოდგენა შეექმნებათ მსოფლოში მიმდინარე მოვლენებზე. გამოუშვებენ კედლის გაზეთს და დამუშავებულ ინფორმაციას წარუდგენენ პრეზენტაციის სახით მოწვეულ სტუმრებს (მშობლებს, მასწავლებლებს, დირექციის წარმომადგენლებს);

პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ მოსწავლეები მიაღწევენ სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს:

IIუცხ.საბ.6 ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება სათანადო სტრატეგიების გამოყენებით;

IIუცხ.საბ.12 ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამოყენებით იდეების განხორციელება.

შედეგად მოსწავლეებს განუვითარდებათ **კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა**

- საღი მსჯელობა და აღქმა;
- ინფორმაციის კლასიფიკაცია, ანალიზი და სინთეზირება პრობლემების გადასაჭრელად და კითხვებზე პასუხების გასაცემად.

კომუნიკაცია და თანამშრომლობა

- იდეებისა და აზრის ნათლად და ეფექტურად გამოხატვა წერილობითი თუ სიტყვიერი ფორმით;

სხვადასხვა ჯგუფთან ეფექტური მუშაობის უნარის დემონსტრირება;

- პასუხისმგებლობების გაზიარება მუშაობის პროცესში.

საინფორმაციო, მედია და ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები

საინფორმაციო წიგნიერება

- ინფორმაციის ეფექტურად და ეფექტიანად მოპოვება, კრიტიკული და კომპეტენტური შეფასება, ინფორმაციის ზუსტად და შემოქმედებითად გამოყენება მოცემულ საკითხთან თუ პრობლემასთან დაკავშირებით;

.

5.პროექტზე მუშაობის ვადები: დასაწყისი 26.04.2021 . დასასრული 15. 06. 2021.

6. განსახორციელებელი ამოცანები:

ამოცანის დასახელება და მოკლე აღწერა	**ვადა**	**მოსალოდნე-ლი შედეგი**	**მოსალოდნელი შედეგის ამსახველი მასალა**	**ამოცანის განსახორციელებლად საჭირო რესურსები**	**პასუხისმგებელი პირი**

მოსწავლეების მიერ თემასთან დაკავშირებული აქტუალური კითხვებისა და პრობლემების ჩამოყალიბება	26.04.2021	პროექტის იდეის წარმოშობა	ფოტო ან ვიდეო	საწერი ფურცელი კალამი, ფოტოაპარატი	მე-9 კლასის მოსწავლეები და მასწავლებელი
მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის იდეის გაცნობა	27.04.2021	პრობლემის გადაწყვეტის გზების არჩევა.	ფოტო	თაბახის ფურცელი, ავტოკალამი.ფოტოაპარატი.	მასწავლებელი, მოსწავლეები.
საორგანიზაციო საკითხები: ჯგუფების შექმნა(გამოკითხვის ჩატარება პრეზენტაციისთვის სასურველი ცნობილი ბავშვის შესარჩევად) ფუნქციების და როლების გადანაწილება.	28.04.2021	მოსწავლეთა მცირე ჯგუ-ფებად დაყოფა. კონკრეტულად 2 ჯგუფად.	ჩანაწერები	თაბახის ფურცელი, საწერ-კალამი.	მოსწავლეები, მასწავლებელი.
შესასრულებელი დავალებების არჩევა, სამუშაოების ეტაპებად დაყოფა და ვადების განსაზღვრა. შემგრო-ვებელთა ჯგუფის მიერ წერილობითი წყაროებიდან და ინტერნეტიდან ინფორმაციების ამოკრება. ვიდეო რგოლის მოძიება და გაცნობა.	29.04 2021		ჩანაწერები მატერიალური სახით ან ელე-ქტრონულად	საწერ-კალამი,თაბახის ფურცლები, ინტერნეტკავშირი, მეხსიერების ბარათი.კომპიუტერი, პრინტერი	N 1 ჯგუფის მოსწავლეები.
შეგროვებული ინფორმაციის	13.05.2021	დამხარისხებელთა ჯგუფის მოსწავლეები	ჩანაწერები მატერიალური სახით ან ელექტრონულად..	საწერ კალამი, ფურცლები, კომპიუტერი, პრინტერი.	N2 ჯგუფის მოსწავლეები, მასწავლებელი

დახარისხება და საპრეზენტაციოდ მზადება		ჩანაწერის სახით წარმოადგენენ შეგროვებულ მასალას და საერთო გადაწყვეტილებით არჩევენ საპრეზენტაციოდ უფრო მნიშვნელოვან და საინტერესოს			
ანე ფრანკზე მომზადებული პრეზენტაციის გადანაწილება ჯგუფის წევრებზე	18.05	შეარჩევენ მოსწავლეთა მონაცემების მიხედვით ვინ უკეთ კითხულობს.	ჩანაწერი.	თაბახის ფურცლები.აუდიო მოწყობილობა.	მოსწავლეები, მასწავლებელი.
შთაბეჭდილებების შეჯამება და წერითი დავალების შესრულება: რა მომცა პროექტმა „ბავშვები, რომლებმაც ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალეს“	25.05	მოსწავლეები შეაჯამებენ ნამუშევარს და გადმოცემენ თავიანთ შთაბეჭდილებებს.	ჩანაწერები	თაბახის ფურცლები ფორმატის ქაღალდი	მოსწავლეები
კედლის გაზეთის გამოშვება	26.06.2021	მოსწავლეები შეგროვებული ინფორმეციის შეჯამების და სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნით გამოუშვებენ კედლის გაზეთს.	კედლის გაზეთი	ფოტო მასალა ფორმატის ქაღალდი, ფერადი ფურცლები, მარკერები	მოსწავლეები

ღონისძიება/პრეზენტაცია	15.06.2021	მოსწავლეები წარადგენენ დამსწრე საზოგადოების წინაშე პროექტზე მუშაობის მოკლე ანგარიშს	ფოტო და ვიდეოკოლაჟი	ფოტოაპარატი, ვიდეო გადამღები. კომპიუტერი, პროექტორი, მეხსიერების ბარათი, ჩანაწერები.	მოსწავლეები

პროექტის ბოლოს მისაღწევი შედეგები: პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეები სიღრმისეულად შეისწავლიან უცხო ენაზე ანე ფრანკის შესახებ ბიოგრაფიულ მონაცემებს, კარგად გააცნობიერებენ, რომ რაღაც მნიშვნელოვანის შესაქმნელად არ არის აუცილებელი ზრდასრულობა და ყველაზე მთავარი, იგრძნობენ რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია. ეს მოკლევადიანი მიზანი კი საფუძველი იქნება გრძელვადიანი მიზნისა, რაც მდგომრეობს იმაში, რომ რადგან თვითონ უნდა მოიძიონ და საგაკვეთილო ფორმატისაგან განსხვავებულ გარემოში უნდა იმუშაონ, მიღებული ინფორმაცია დიდხანს დაამახსოვრდებათ. გარდა ამისა მოსწავლეებს განუვითარდებათ მაღალი სააზროვნო უნარები: კვლევა-ძიების, ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, ტრანსფერის, შეფასების და ა.შ.

ხელისშემშლელი ფაქტორები, მოსალოდნელი რისკები: როგორც აღვნიშნე, მოსწავლეებს არ აქვთ პროექტზე მუშაობის გამოცდილება და შესაძლოა გაუძნელდეთ.

პროექტის შუალედური და საბოლოო შეფასება:

პროექტის მონიტორინგი/შეფასება	ვის მიერ	როდის	რა კრიტერიუმებით
პირველი შუალედური მონიტორინგი	მასწავლებელი. ჯგუფის ხელმძღვანელიმოსწავლეები	17.05. 2021	რა არის დაძლეული რა ამოცანის წინაშე ვართ? რამდენად წარმატებულად მიმდინარეობს პროექტი--ზეპირი და წერილობითი ანგარიშები. მიცემული უკუკავშირი
მეორე შუალედური მონიტორინგი	მასწავლებელი, ჯგუფების ხელმძღვანელი მოსწავლეები	20.05. 2021	მიმდინარეობს პროექტი გეგმიურად? ვასწრებთ დროში? ზეპირი და წერილობითი ანგარიშები, მიცემული უკუკავშირი.
საბოლოო შეფასება	მასწავლებელი, მოსწავლეები	27.05. 2021	მივედით დასახულ მიზნამდე? რა მივიღეთ?მოსწავლეთა თვითშეფასება. გამოკითხვა.

მონიტორინგის დროს **ჯგუფების მუშაობა** ფასდებოდა ქვემოთ მოცემული **რუბრიკით**

1	შეფასების კრიტერიუმები	კი	არა
2	ჯგუფის ყველა წევრს შეაქვს თავისი წვლილი დავალების შესრულებაში		
3	ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს და იცავენ რიგითობას		
4	ჯგუფის წევრები მხოლოდ საკითხის ირგვლივ მუშაობენ		
5	ჯგუფის წევრები კარგად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. შექმნილია აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები		
6	ჯგუფის წევრები მართებულად ართმევენ თავს აქტივობის შესაბამის დავალებებს		
7	ეტევიან იმ ვადებში, რომელიც მითითებულიაგანსახორციელებელი აქტივობისათვის		

პრეზენტაცია კი შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით:

საუბრის გამართულობა და ტემბრი, აუდიტორიასთან კონტაქტი, დროის ლიმიტის დაცვა. პრეზენტაციის დასასრულს მოსწავლეებმა შეავსეს ინდივიდუალურად კითხვარი.

პროექტის რეფლექსია

პროექტის განხორციელების სურვილი გაჩნდა მას შემდეგ, რაც შევნიშნე, რომ მოსწავლეებს ნაკლებად ჰქონდათ წარმოდგენა გლობალურ მოქალაქეობაზე, არ ინტერესდებოდნენ ზოგადი ინფორმაციით, უცხო ენების სასწავლო პროგრამა კი არ იძლევა გლობალური მოქალაქეობაზე ცნობიერების გაფართოების საშუალებას. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მე-8 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით სკოლის კათედრების საერთო პროექტის „დემოკრატიული კულტურა და გლობალური მოქალაქეობა“ ფარგლებში სასწავლო პროექტით „ბავშვები, რომლებმაც სამყარო შეცვალეს“ ჩავრთულიყავი. პროექტი მიმდინარეობდა 2021 წლის 26 აპრილიდან 15 ივნისის ჩათვლით. შეიძლება ითქვას, რომ პროექტის მიზანი მიღწეულია : მოსწავლეებმა გაიაზრეს დემოკრატიული კულტურის პრინციპები და გლობალური მოქალაქეობა, შეძლეს უცხო ენაზე ანე ფრანკის შესახებ ბიოგრაფიოულ მონაცემების სიღრმისეულად შესწავლა, კარგად გაცნობიერება, რომ რაღაც მნიშვნელოვანის შესაქმნელად არ არის აუცილებელი ზრდასრულობა და ყველაზე მთავარი, იგრძნეს რომ მათი ხმა მნიშვნელოვანია. ასევე შეძლეს მოძიებული ინფორმაციის დამუშავება, პრეზენტაციის მომზადება, კედლის გაზეთის გამოშვება და დამუშავებული ინფორმაციის პრეზენტაციის სახით მოწვეული სტუმრებისთვის (მშობლები, მასწავლებლები, დირექციის წარმომადგენლები) წარდგენა; პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა გეგმის მიხედვით განხორციელდა, პროექტის გეგმის მოდიფიცირება არ მომხდარა, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე პროექტის პრეზენტაციამ, რაც მონაწილე მოსწავლეებისთვის სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა, პროექტმა ხელი შეუწყო XXI-ე საუკუნის უნარების განვითარებას და რაც მთავარია, სხვა

კლასის მოსწავლეებსაც სურვილი გაუჩინა ახალ პროექტებში მონაწილეობის. ვაანალიზებ რა ჩემ მიერ განხორციელებულ პროექტს, მომავალში შევეცდები, რომ მსგავსი პროექტების პრეზენტაციის დროს მოსწავლეთა პრეზენტაციის უნარის ფლობა გავითვალისწინო.

თამარ ჩუბინიძე.